ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლი- ირაკლი კუჭავა

მოგესალმებით ყველას. ის რაც დღეს სხდომაზე ხდება, ეს კიდევ ერთი ნაბიჯია თვითმმართველობის დამკვიდრების. (დებატები, დასმული შეკითხვები და ა.შ. ). ამიტომ ყველა მონაწილეს მადლობას მოგახსენებთ.

ვერც კი წარმომედგინა, რომ ბიუჯეტის განხილვაზე უმრავლესობის წევრი იქნებოდა ასე კრიტიკული, მე ამას მივესალმები (ვგულისხმობ დავით შარაშიძეს). ის, რომ თავისუფლების ხარისხი არის დაცული, სწორედ ესაა მისასალმებელი.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ჩვენ ერთად უნდა მივიღოთ და დავამტკიცოთ. მინდა გულახდილად გითხრათ, რომ ამხელა ტვირთის ტარების მოხარული არ ვარ. თითქმის მილიონამდე გაზრდილი ბიუჯეტის შესრულება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის დიდი პასუხისმგებლობა იქნება.

ჩვენი ერთობლივი საქმიანობის მიზანი იქნება დავიწყოთ გონივრული პრივატიზების პროცესი. ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას სწორი გათვლით, არგუმენტებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ავადმყოფების თემას მინდა შევეხო და გითხრათ, რომ ვინ თუ არა მე და ბატონმა ზაალ მამალაძემ, იცის ყველაზე უკეთ, თუ როგორ უჭირთ ამ პაციენტებს და როგორ ჭირდება დახმარება მათ. პირველ რიგში ეს ადამიანები ჩვენ გვხვდებიან. აღმოჩნდა, რომ მათ სპეციალური წამალი ვეღარ შველის და ტკივილგამაყუჩებელია ამ ეტაპზე საჭირო მათთვის.

დაისვა კითხვა: რატომ ვამატებთ ა(ა).ი.პ- ებს? დიახ, ეს არის ჩემი ინიციატივა, იმიტომ, რომ ამხელა კონცეფცია წარმომიდგინა პიროვნებამ, რომლის გვარი და სახელი მაშინ დაუკავშირდა გალერეას და არა ისე, როგორც ბატონმა დავითმა (შარაშიძე) აღნიშნა. გურამ ბერძენიშვილს თუ გულისხმობთ, მან წარმოადგინა მწყობრი პროგრამა, არის დიდი ხელოვანი და შემოქმედი ადამიანი, მჭირდება პროფესიონალი, ვინც თანხებს მოიძიებს, ის სწორედ ამ კუთხით წარმოაჩენს თავს. მოიძიებს გრანტებს, მოაწყობს გამოფენებს. ასეთ პირობებს მხარს დავუჭერ და მის გვერდით ვიქნები.

რა თქმა უნდა მხარს დავუჭერ ჩვენს მუნიციპალიტეტში უპოვართა სახლის გახსნას მაშინ, როცა პროექტი იქნება დასრულებული სახით ჩვენამდე მოსული.

დავაფინანსებთ არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთ პროექტებს, რომელიც ქმნის პროდუქტს. აქვე მაქვს  მათი გეგმები და შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია  და მათ მომავალშიც დავაფინანსებთ. ხვალ მოხდება სერთიფიკატების გადაცემა სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის კომპიუტერის შესწავლისთვის. რეალისტურ მოთხოვნებს ნამდვილად დავეთანხმები ყოველთვის.

მეკითხებით, თუ რატომ უნდა დავაფინანსოთ სოფლის პროგრამები დამატებით? იმიტომ უნდა დავაფინანსოთ, რომ დაგვჭირდა სპეციალისტების მოწვევა ტყე-პარკისთვის, სოფ. გორას ციხე-სიმაგრეზე, მე სამხარაულის ექსპერტიზის გარეშე ამ შენობას ვერავის ვერ დავანგრევინებ, ამ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ.

გეთანხმებით, რომ სოფელ ზემოხეთში ბევრი რამ გასაკეთებელია კიდევ, მაგრამ სულ არაფერი არ კეთდებაო ასე, არ არის. ბევრ ადამიანს გადაუხურეთ სახლი ივლისიდან დღემდე.

ვთვლი, რომ გასული წელი იყო ძალიან რთული, დაძაბული,  წესიერი და პატიოსანი შრომის წელი. ყველა ოპოზიციას მადლობა აქტიური მუშაობისთვის. რომელ გადაწყვეტილებასაც კანონი მავალდებულებდა, ყველა თქვენთან მაქვს შეთანხმებული , რასაც არ მავალდებულებდა, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც მაქვს შეთანხმებული.

მოგილოცავთ, რომ სოფელ კოხნარის საბავშვო ბაღი უკვე გახსნილია და დასრულებულია. ეს მოხდა თქვენი მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობას გიხდით კიდევ ერთხელ.

მუნიციპალიტეტის 12 ქუჩა უკვე მოასვალტებულია, 24 საათიანი წყალმომარაგება, სუფთა, დაქლორილი წყალი გვაქვს ყველგან.

ბაზრის თემას რაც შეეხება, მე ვაცხადებ, რომ სანამ მე გამგებელი ვარ, ბაზრის გაყიდვას მხარს არ დავუჭერ. იქ თანხის დახარჯვა ისევ საჭიროა. ცხოველთა ბაზრობა ისევ მოსაწესრიგებელია. ვნახე მოვაჭრეები  ოზურგეთიდან, არა მხოლოდ მყიდველები, გამყიდველებიც მრავალია.

კოხნარის, დიდივანის, ბუკისციხის ადმინისტრაციული შენობები დაიხურა, დავეხმარეთ მრავალ ოჯახს სახურავის გადახურვით, თუ ფულადი სახით, თუ მასალით და ა.შ. ხალხში გახდა უკვე მოთხოვნა, რომ ამათ შეუძლიათ და ჩვენც გაგვიკეთონ.  ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ჩვენ საქმის მკეთებელი ხელისუფლება გვყავს. ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანის დამსახურებაა.  არ შემიძლია განსკუთრებული მადლობა არ ვუთხრა  საკუთრების აღიარების კომისიას. არც შემოსავლები იქნებოდა და არც კმაყოფილი ხალხი  იქნებოდა.  ინსპექტირების

ჯგუფს დიდი მადლობა. ეს კომისია გაძლიერებულია, სულ მუშა პროცესშია, მშენებლობაში მეტი მეტი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან ჩართული ამ სფეროში.

დიახ, 70 000 ლარი არ ყოფნის კურორტ ბახმაროს. მთავრობაში ცალკე პროგრამებია გადაგზავნილი, არის მოლაპარაკებები პრემიერ- მინისტრთანაც, მაგრამ მოთხოვნა არის უპირველესი- ბახმაროს სტატუსისა და ბახმაროს გენერალური გეგმის სივრცითი მოწყობის ჩამოყალიბება და განსაზღვრა.

ვთანხმდებით, რომ არ გვჭირდება ყველა შუკაში განათების შეყვანა, მაგრამ მოსახლეობა ითხოვს ამას, თუ სხვა სოფლებშიც არის საქუჩო განათება, ჩვენ რატომ არ უნდა გვქონდესო. მომავალი წლის რეგიონალური განვითარების ფონდში უკვე აღარ ჩავდეთ ქუჩების განათების გეგმა.

მე მაკრიტიკეთ, მე მლანძღეთ, ოღონდ ნუ დასცინებთ და ნუ გალანძღავთ ჩვენს ჩოხატაურს.

საკუთარ თავთან თანხვედრაში ყოფნა და საკუთარი თავის სიმართლეში დარწმუნება მინდა გისურვოთ ყველას.